ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №67

ქ. აბაშა 10.07.2015 წ.

ერთის მხრივ, აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წარმომადგენლის გამგებლის მამუკა კვიტაშვილის (შემდგომში - შესყიდველი) სახით, მეორეს მხრივ, სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმომადგენელის დირექტორის ნუგზარ კაკულიას სახით ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[2] მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბრის N1536 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის გამოყენების შედეგად, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია მომსახურების (შემდგომში - შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა.

1.2 მომსახურების შესყიდვა გულისხმობს აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებზე თანამედროვე სტანდარტებისა და სანდოობის ხარისხის კონტროლის მექანიზმების შესაბამისი ტესტირების ორგანიზებას, (#CPV-79635000);

1.3 ტესტირება უტარდება, განაცხადების გადარჩევის შედეგად, მეორე ეტაპზე გადასულ 136 კონკურსანტს, რომელთა რეზიუმე შეესაბამებოდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

1.4 შესყიდვის საშუალება: **გამარტივებული შესყიდვა.**

2.შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. ერთი კონკურსანტის ტესტირების ღირებულება შეადგენს **10 (ათი) ლარს.** ტესტირებაზე დაშვებულ იქნა 136 კონკურსანტი.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1360,00 (ერთიათასსამასსამოცი ლარი და 00 თეთრი) **ლარს** საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადების გათვალისწინებით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2015 წლის 14-15 ივლისს.

3.2. უზრუნველყოს ტესტირების შედეგების მიწოდება არაუგვიანეს 17 ივლისისა.

3.3. მომსახურების გაწევის ადგილი: **ქ.ქუთაისი, იუსტიციის სახლი.ირაკლი აბაშიძის ქ. N20**

4. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მომსახურების გაწევისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ (ფაქტობრივად დამსწრე კანდიდატთა რაოდენობის შესაბამისად).

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან.

5.2. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტი აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი)სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება;
- უზრუნველყოს ტესტირების ჩატარება დღეში 5 ნაკადად, თითოეული ნაკადის ხანგრძლივობა ატესტაციის დაქვემდებარებულ თითოეული პირისთვის შეადგენდეს არანაკლებ 2 აკადემიურ საათს;
- უზრუნველყოს ტესტირებაში მონაწილე პირთა რეგისტრაცია, რომლის ხანგრძლივობა შეადგენს 1 საათს.

6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

- განახორციელოს ინსპექტირება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ინსპექტირებისას გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- მიმწოდებელი ვალდებულია საჭიროების განცხადების შემთხვევაში შემსყიდველს მიაწოდოს ექსპერტის დასკვნა, განცხადების დაწერიდან არაუგვიანეს 3(სამი) კალენდარული დღისა.

6.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების აწაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. ხელშეკრულების შესრულების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაზე ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი/წარმომადგენლები.

8.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1 მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების ერთი მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს მას დამატებით ვადას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისათვის.

ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ დამატებით ვადაში ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

8.2 ხელშეკრულების მხარეს, მის მიერ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 0.2 პროცენტის ოდენობით.

8.3 თუ ერთი მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლის ჯამური თანხა გადააჭარბებს შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

8.4 წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 პუნქტითგანსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო შესაბამისად, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,07% ის ოდენობით.

9 ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1 მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

9.2 თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეუქმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დაუშვებელია. თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს 10%-ისა.

10.2 ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12 დავა და მისი გადაწყვეტის წესი

12.1 წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13 სხვა პირობები

13.1 საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

შემსყიდველი:

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ქ.აბაშა, ტ. დარასელიას N1
საბანკო რეკვიზიტები:
საიდენტიფიკაციო კოდი:222448643
მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში;
მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი - TRESGE22;
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 200122900

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელი
მამუკა კვიტაშვილი

მიმწოდებელი:

სსიპ „ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი"
ქ. თბილისი სანდრო ეულის ქ. 3ა.
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში;
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი - TRESGE22;
მიმღების ანგარიში /სახაზინო კოდი 707997153
ს/კოდი:204423230

დირექტორი [illegible]